ერთი კლასის გეომეტრიულ ფიგურათა, ზედაპირთა და წირთა ანალიზურად წარმოდგენის შესახებ.

ი. თავხელიძე

წარმოდგენილ ნაშრომში მოტანილია ფიგურათა, ზედაპირთა და წირთა ერთი სპეციალური კლასის ანალიზური წარმოდგენა. ამ კლასის ზედაპირები წარმოიშვება ბოლის რგოლების გავრცელების შესწავლისას. აგრეთვე ასეთი ტიპის წირებით აღიწერება ზოგირთი რთული ტრაექტორიის მქონე ციური სხეულის ორბიტა. ძალზედ საინტერესოა ასეთი ტიპის სხეულებისა და გარსების შესწავლა. თუმცა ამ ნაშრომში მხოლოდ ასეთი ტიპის სხეულთა ანალიზური წარმოდგენაა მოტანილი.